

შარლ ლეფევრ-პონტალისი

თბილისიდან პერსეპოლისში...

1892 წლის 6-9 თებერვალს თბილისში იმყოფებოდა შარლ ლეფევრ-პონტალისი (1867-1900) – კავალერიის ახალგაზრდა ფრანგი ოფიცერი, სენ-სირის სამხედრო სკოლის პროფესორი. მისი მიზანი თეირანში ჩასვლა და ევროპაში თურქეთ-რუსეთის საზღვრისა და ჩრდილოეთ ირანის – თავრიზის, ბაიაზეთის, არზრუმის, ბაიბურთისა და ტრაპიზონის, გავლით დაბრუნება იყო. მის თხზულებაში მოცემულია ცნობები თბილელი დრაგომანების – რეალინისა და ბაგრამიანცის, ასევე საფრანგეთის კონსულის, დე ლა შომისა და თბილისში ირანის გენერალური კონსულის, გენერალი მირზა რიზა ხანის, შესახებ. საქართველოს მთავარმართებლის, შერემეტევის ადიუტანტთან დროის მნიშვნელობის შესახებ მოკლე საუბრის მიხედვით ფრანგი ოფიცერი ასკვნის, თუ „რამდენად აღმოსავლელები იყვნენ რუსები“.

**Carle Lefèvre-Pontalis. De Tiflis à Persépolis : Érivan, Tabriz, Téhéran, Ispahan. Conférence faite à Vendôme, le 23 février à Angers, le 31 mai 1894. Illustrations en phototypir d'après les photographies de Mme la Marquise De Sigy de Balloy, Jane Dieulafoy, M M. Bernay, Binder, Lefèvre-Pontalis . etc., etc. Paris, Librairie, Plon, S.D. (1894)**

=Pour traverser l'Arménie, longer le Kurdistan et parcourir la Perse, un guide était indispensable, ou tout au moins un interprète. J'entrai en pourparlers avec deux guides de Tiflis. L'un est Arménien et s'appelle Bagramiantz; l'autre était une espèce d'Italien du nom de Réaline.

სომხეთზე გასავლელად, ქურთისტანის გვერდის ავლისა და სპარსეთის გადასაკვეთად გიდი თუ არა, თარჯიმანი მაინც მჭირდებოდა. მოლაპარაკებები ორ თბილისელ გიდთან გავმართე. ერთი სომეხია, გვარად ბაგრამიანცი; მეორე – იტალიელი, გვარად რეალინი<sup>1</sup>.

Je me méfiais de l'Arménien, car tout Arménien est voleur et menteur, et le courage n'est pas sa vertu première ; un proverbe dit qu'il faut deux Grecs pour (9) rouler un Juif, mais qui faut six Juifs pour rouler un Arménien. – La suit me prouva que le proverbe n'avait pas tort. Bagramiantz n'était qu'un vulgaire interprète sans expérience, habitué à escorter et à piller le plus possible les étrangers qu'il conduit de temps à autre, en chemin de fer, à la découverte de Koutaïs ou de Samarcande. (10)

სომეხს არ ვენდობოდი, რადგან ყოველი სომეხი ქურდი და მატყუარაა, არც სიმამაცეა მისი პირველი ღირსება; ანდაზის თანახმად, ერთი ებრაელის მოტყუებას ორი ბერძენი სჭირდება, ერთი სომხისას – ექვსი ებრაელი. – ამ ანდაზის სიმართლეში შემდეგ დავრწმუნდი<sup>2</sup>. ბაგრამიანცი ჩვეულებრივი გამოუცდელი თარჯიმანი იყო, რომელიც მიჩვეული იყო რაც შეიძლება მეტი უცხოელის თანხლებას და მარცვას, რომლებიც დროდადრო მატარებლით დაჰყავდა ქუთაისის ან სამარყანდის სანახავად.

<sup>1</sup> შარლ ლეფევრ-პონტალისი იმ დრაგომან რეალინის ახსენებს, რომელიც ირანში ახლდა ერნესტ ოსოლის და უილენს.

<sup>2</sup> შარლ ლეფევრ-პონტალისის თქმით, ბაგრამიანცმა არც ერთი სიტყვა არ იცოდა სპარსულად და ცხენით მგზავრობაც უჭირდა. ფრანგმა ოფიცერმა ის თეირანშივე შეცვალა საფრანგეთის მისიის კურიერით, რომელსაც რაშოსა და ტრაპიზონში დაჰქონდა პოლიტიკური ფოსტა და ცხოვრების ნახევარს ცხენზე ატარებდა (Lefèvre-Pontalis. De Tiflis à Persépolis, 67).

Réaline était un voyageur aux airs de grand seigneur, qui avait été jusqu'en Afghanistan, mais qui n'aurait pas eu trop de toute la terre pour le servir ou de tous les vins du Caucase pour étancher sa soif. S'il ne savait aucune langue des pays à traverser, lui du moins était un guide. Aussi, craignant qu'il ne prétendît me conduire, même contre mon gré, j'hésitais à l'emmener. (10)

რეალინის, დიდგვაროვანი კაცის იერის მქონე მოგზაურს, რომელიც ავღანეთშიც კი იყო ნამყოფი, შემოსავლელად მთელი დედამიწა, წყურვილის მოსაკლავად კი კავკასიის მთელი ღვინო არ ეყოფოდა. ხოლო თუკი მან არ იცოდა იმ ყველა ქვეყნის ენა, რომლებიც უნდა გაგვევლო, ის მეგზური მაინც იყო. მაგრამ, იმის შიშით, რომ ის არ აცხადებდა ჩემი გაყოლის სურვილს ჩემი ნების წინააღმდეგ, მისი წაყვანის გამო ვყოყმანობდი.

La nuit qui précéda mon départ, effrayé des exigences et de la poltronnerie de Bagramiantz, je fis encore venir Réaline et restai à discuter avec lui, de onze heures du soir à deux heures du matin. Un mot qui m'échappa lui fit comprendre que j'étais déjà entré en pourparlers avec Bagramiantz. Prenant son chapeau, il se retira aussitôt, me déclarant qu'il était convenu entre eux qu'ils ne marchaient jamais sur les brisées l'un de l'autre. (11)

ჩემი გამგზავრების წინა ღამეს, ბაგრამიანცის მოთხოვნებითა და სიმხდალით შეშინებულმა, ისევ რეალინი მოვაყვანინე და ღამის თერთმეტი საათიდან ღამის ორ საათამდე ვესაუბრე. მაგრამ შემთხვევით წამოცდენილი სიტყვის მიხედვით ის მიხვდა, რომ ბაგრამიანცთან მქონდა მოლაპარაკებები. მან მაშინვე აიღო თავისი ქუდი და წასვლისას გამომიცხადა, რომ მათ შორის არსებული შეთანხმებით, ისინი ერთმანეთს კონკურენციას არ გაუწევდნენ.

Je crois qu'avec Réaline l'entente eût été difficile. — J'ai appris dernièrement qu'il s'est suicidé au retour d'un voyage en Turquie d'Asie, dans lequel il a conduit un de nos compatriotes; et j'ai su également qu'il se laissait parfois charger de la mission plus ou moins officieuse de tirer les vers du nez des voyageurs de marque qu'il accompagnait. (11)

ვიფიქრე, რომ რეალინისთან მოლაპარაკება რთული იქნებოდა. – ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ მან თავი მოიკლა თურქული აზიიდან მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც ის ჩვენს ერთ-ერთ თანამემამულეს ახლდა; მე ისიც გავიგე, რომ ზოგჯერ თავს უფლებას აძლევდა ეკისრა მეტ-ნაკლებად არაოფიციალური მისია – დაეცინცლა საიდუმლო იმ გამოჩენილი მოგზაურებისთვის, რომლებსაც ახლდა.

Je pris encore congé de notre distingué consul général M. de la Chaume qui, depuis, a quitté le Caucase, après une longue et brillante carrière au cours de laquelle il a rendu à la France, dans ces régions délicates, les plus grands services, – et reçus les derniers avis de S. E. le général Riza Mirza Khan, consul général de Perse à Tiflis, qui me fit les honneurs de sa belle installation et de ses riches collections.

მე ასევე გამოვემშვიდობე ჩვენს პატივცემულ გენერალურ კონსულს, ბატონ დე ლა შომს, რომელიც ხანგრძლივი და ბრწყინვალე კარიერის შემდეგ, რომლის დროსაც უდიდესი სამსახური გაუწია საფრანგეთს ამ დელიკატურ რეგიონებში, კავკასიიდან გაიწვიეს; ახალი რჩევები მივიღე თბილისში სპარსეთის გენერალური კონსულის, მისი აღმატებულება გენერალი მირზა რიზა ხანისგან<sup>3</sup>, რომელმაც პატივი დამდო თავის მშვენიერ რეზიდენციაში და თავისი მდიდარი კოლექციები მაჩვენა. (11)

<sup>3</sup> მირზა რიზა ხანი, დანეში, პრინცი არჯა' ად-დოლე (1853-1937) – ირანელი დიპლომატი, ირანის კონსული თბილისში – 1889-1894 წწ., პეტერბურგში – 1894-1901 წწ., სტამბოლში – 1901-1910 წწ. 1912-1914 წწ. იყო ჯერ ირანის იუსტიციის, შემდეგ განათლების მინისტრი (მარინა ალექსიძე, გრიგოლ ბერაძე, ირინა კომორიძე, დიპლომატია, არქიტექტურა და პოეზია: მირზა რიზა ხან არჯა' ად-დოლე და საქართველო, „აღმოსავლეთისა და დასავლეთის“

Ce jeune et intelligent fonctionnaire est appelé au plus brillant avenir. Le Shah le destinerait, paraît-il, à occuper le premier poste diplomatique de Perse, l'ambassade de Téhéran à Pétersbourg. (11)

ამ ახალგაზრდა და ჭკვიან მოხელეს წინ ბრწყინვალე მომავალი ელის. როგორც ჩანს, შაჰს<sup>4</sup> სურს, რომ შემდგომში სპარსეთში პირველი დიპლომატიური თანამდებობა – პეტერბურგში თეირანის ელჩის პოსტი, მან დაიკავოს.

Enfin, le 9 février, après toutes ces hésitations et toutes ces lenteurs, par un beau soleil et un froid sec, je peux quitter Tiflis, en compagnie de Bagramiantz. (11)

ბოლოს, 9 თებერვალს, ამდენი ყოყმანისა და შეფერხების შემდეგ, შესანიშნავ მზიან და ყინვიან მშრალ დღეს თბილისიდან ბაგრამიანცის თანხლებით გავემგზავრე.

თარგმნა ირინე ნაჭყებია

---

შორის – ირანელი და ფრანგი ავტორები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ“. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 62-68).

<sup>4</sup> იგულისხმება ნასერ ად-დინი (1831-1896) – 1848-1896 წლებში ირანის მეოთხე შაჰი ყაჯართა დინასტიიდან.